საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 20/00 „23" ივნისი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ილია გოცირიძე

23 ივნისი
„--------"----------" 2011 წელი

ეგზ. N2

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტის ჩატარების შესახებ

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი ..... გვ 3

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი ..... გვ 4

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა ..... გვ 4

1.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა ..... გვ 4

1.2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა ..... გვ 9

1.3. გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა ..... გვ 9

1.4. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა ..... გვ 10

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა ..... გვ 10

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა ..... გვ 14

ნაწილი IV - აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი ..... გვ 15

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები ..... გვ 16

ნაწილი I – შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 28 თებერვლის N20/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორი ქეთევან ზოზიაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და მთავარი აუდიტორი ზვიად ჭკადუა.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე - ფინანსური, კამერალური ანალიზი.

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული მისამართია: 0105 ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2 ტელ/ფაქსი: 357828, 357800.

აუდიტი დაიწყო 2011 წლის 28 თებერვალს და დამთავრდა 2011 წლის 20 მარტს.

შემოკლებანი:

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო – სამინისტრო;
2. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი – მინისტრი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;
5. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი – ბიუჯეტის შესახებ კანონი;
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ.

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა

2010 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით (12.2009 წ.) სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 17,872.10 ათასი ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დამტკიცებულმა გეგმამ 199,397.80 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო დაზუსტებულმა - 199,768.3 ათასი ლარი. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებები გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:

კანონში განხორციელებული ცვლილებები გამოწვეული იყო შემდეგით:

1) - 2010 წლის ზამთარსა და შემდგომ პერიოდში სს „თბილსრესის“ საიმედო მუშაობისათვის N3 ენერგობლოკის სარემონტო სამუშაოების დაფინანსებისა და ბუნებრივი აირის თანადაფინანსების მიზნით საჭირო გახდა 1,496.5 ათასი ლარის დამატება, რომელიც სესხად იქნა გაცემული სს „თბილსრესზე“;

- მიმდინარე წელს გაფორმებული იქნა ახალი საკრედიტო ხელშეკრულებები, რითაც შესაძლებელი იყო ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის II ეტაპის, შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელისა და ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების განხორციელება. პროექტების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საჭირო შეიქმნა ბიუჯეტის შესახებ კანონით სამინისტროსათვის დამტკიცებული უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებულ ასიგნებებში შესაბამისი ცვლილების შეტანა (24,460.8 ათასი ლარი).

2) გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების ფარგლებში შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის განხორციელებას უზრუნველყოფდა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ თავისი შვილობილი კომპანიის შპს „ენერგოტრანსის“ მეშვეობით. აღნიშნული პროექტის თანადაფინანსების თანხა 20,000.0 ათასი ლარი სამინისტროს ასიგნებებიდან გადატანილ იქნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ასიგნებებში შემდგომში „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით (რადგან შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო).

3) უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისათვის დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული დაფინანსება (175,568.40 ათასი ლარი). ამ თანხების განკარგვა ხდება ენერგეტიკის სამინისტროსაგან დამოუკიდებლად სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტების მიერ, რომლებიც არ არიან ფინანსურად

ანგარიშვალდებულნი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინაშე და შესაბამისად მათი ფინანსური ანგარიშგებები არ აღირიცხება სამინისტროს ნაერთ ბალანსში. ნაერთ ანგარიშგების ფორმებში აღნიშნული თანხები ასახულია წლის ბოლოს სახაზინო სამსახურიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე.

სხვაობა დამტკიცებულსა და დაზუსტებულ გეგმებს შორის:

დამტკიცებულსა და დაზუსტებულ გეგმებს შორის სხვაობა გამოწვეულია მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სამინისტროსთვის თანხების (370.5 ათასი ლარი) გამოყოფით, ასევე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლიდან მუხლში გადატანით. უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ 2010 წლის 25 ნოემბერს წერილით მიმართა ფინანსთა სამინისტროს, რომლითაც ითხოვდა „ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიებების“ (36 03 06) მუხლში მოსახლეობის მიერ მიმდინარე წელს ბუნებრივი გაზის ფაქტიური მოხმარების შემცირების გამო მიღებული ეკონომიის ხარჯზე გაეზარდათ სამინისტროს ცენტრალური აპარატის „შრომის ანაზღაურებისა“ და „საქონელისა და მომსახურების“ მუხლებით განსაზღვრული ასიგნებები, რომელიც მოხმარდებოდა სამივლინებო ხარჯების დაფინანსებასა და საახალწლოდ ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას. ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით (#1002, 30.11.10 წ.) 109.6 ათასი ლარი დაემატა შრომის ანაზღაურების მუხლს და 52.4 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას. შრომის ანაზღაურების მუხლში თანხის დამატებით სამინისტროს იმ თანამშრომლებზე, რომლებიც წლის განმავლობაში ყოველ თვე იღებდნენ პრემიას, დეკემბრის თვეში პრემია გაიცა 150-200%-ის ოდენობით.

- ადგილი აქვს სამინისტროს ცალკეული ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-იან შეუსაბამობას, ასევე

დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის 15%-იან შეუსაბამობას, რაზედაც სამინისტროს მიერ მოცემულია შესაბამისი განმარტება.

➢ 2010 წლის პირველ კვარტალში სამინისტროს მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულმა გადანაწილებამ იმ პერიოდისთვის დამტკიცებული ბიუჯეტის 9,1% შეადგინა, ანუ 4,1%-ით მეტი, ვიდრე ეს კანონით იყო განსაზღვრული[1]. აღნიშნული გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის 2010 წლის 12 იანვრის N5 განკარგულებით, რომლის საფუძველზეც სამინისტროს დაევალა მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან - 1,496.5 ათასი ლარი სესხის სახით გამოეყო სს „თბილსრესთვის" (2010 წლის ზამთარსა და შემდგომ პერიოდში სს „თბილსრესის" საიმედო მუშაობისთვის N3 ენერგობლოკის სარემონტო სამუშაოების დაფინანსებისა და ბუნებრივი აირის თანადაფინანსების მიზნით). შესაბამისად, 2010 წლის 14 იანვრის N1 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით, 1,496.5 ათასი ლარი „სუბსიდიების" მუხლიდან (ორგ. კოდი 36 03 06) გადატანილ იქნა „ფინანსური აქტივების ზრდის" მუხლში (ორგ. კოდი 36 03 02). ბიუჯეტის შესახებ კანონში 2010 წლის ივნისში შეტანილი ცვლილებით აღნიშნული თანხა დაემატა სამინისტროს ასიგნებებს და გაუქმებულ იქნა ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის ცვლილება.

სამინისტროს ასიგნებების საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა მოცემულია ცხრილის სახით:

(ათასი ლარი)

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული 11.2010 წ.	დაზუსტებული	გადახდა	ფაქტიური	გადახრა ფაქტიურ ხარჯსა და გადახდას შორის	ათვისება (გადახდა/ დაზუსტებული*100) %
ხარჯები	**23,807.4**	**25,042.6**	**22,888.7**	**24,580.0**	**1,691.3**	**91.4**
შრომის ანაზღაურება	1,726.1	1,835.7	1,835.1	1,836.6	1.5	99.97
საქონელი და მომსახურება	767.0	836.4	786.1	843.9	57.8	93.99
ძირითადი კაპიტალის მოხმარება				126.6	126.6	

[1] „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 31 მუხლის მე-2 პუნქტი.

სუბსიდიები	5,300.0	5,491.5	4,595.8	4,595.8		83.69
გრანტები				1,351.3	1,351.3	
სოციალური უზრუნველყოფა	10.0	10.0				
სხვა ხარჯები	16,004.3	16,869.0	15,671.7	15,825.8	154.1	92.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,763.7**	**763.7**	**18.3**			**2.4**
ფინანსური აქტივების ზრდა	**173,619.7**	**173,619.7**	**166,401.6**			**95.84**
ვალდებულებების კლება	**207.0**	**342.3**	**341.9**			**99.88**
სულ ასიგნებები	**199,397.8**	**199,768.3**	**189,650.5**			

შენიშვნა: „არაფინანსური აქტივების ზრდას", „ფინანსური აქტივების ზრდას" და „ვალდებულებების კლებას" ფაქტობრივი ხარჯი არ გააჩნია.

ფაქტიურ ხარჯის მეტობა საკასო ხარჯზე გამოწვეულია შემდეგით:

- შრომის ანაზღაურების მუხლში - 1.5 ათასი ლარი წარმოადგენს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის (ამჟამად ლიკვიდირებულია) თანამშრომელთა სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებულ თანხებს, რომელიც დარიცხული იქნა მიმდინარე წელს;
- საქონელსა და მომსახურების მუხლში - წლის დასაწყისში არსებული 57.8 ათასი ლარის მატერიალური მარაგები და ფულადი დოკუმენტები ჩამოწერილია ფაქტიურ ხარჯებში მიმდინარე წელს;
- ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლში - 126.6 ათასი ლარი წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებზე პერიოდის ბოლოს დარიცხულ ცვეთას;
- გრანტების მუხლში - 1,351.3 ათასი ლარი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 26 ივნისის N840 განკარგულების შესაბამისად სს „თბილსრესზე" გაცემული ჩამოწერილი სესხის თანხას;
- სხვა ხარჯების მუხლში:

  ა) 135.3 ათასი ლარი დარიცხული იქნა სამინისტროს მიერ უკუდაბეგვრის წესით ბიუჯეტში გადასახდელი თანხები, რომელთა საკასო ხარჯი გაწეულია „ვალდებულების კლების" მუხლიდან;

  ბ) 18.8 ათასი ლარი დარიცხული იქნა სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხები (სს „ეკრანის" – 7.3 ათასი და შპს „გეოტრანსლეიტი" – 11.5 ათასი ლარი).

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით ათვისება არის 2.4%, რაც გამოწვეულია იმით, რომ 2010 წელს გადახდილი იქნა მხოლოდ ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ანგარიშების თანადაფინანსების თანხები.

1.2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა

2010 წლის განმავლობაში სამინისტროს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სულ გამოეყო 370.5 ათასი ლარი. მათ შორის:

განკარგულების ნომერი და თარიღი	ღონისძიების დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	დაბრუნებულია ბიუჯეტში	შენიშვნა
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება					
N12, 08-01-10	ქ.ბათუმში დაგეგმილი ენერგეტიკული სამიტის დეკლარაციის პროექტის შემუშავების მიზნით ქ.თბილისში ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის ორგანიზებისათვის განსახორციელებელი ღონისძიების დაფინანსება	17,000.00	11,823.79	5,176.21	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
N02-ს, 24-02-10 N01-ს, 23-02-10 N03-ს, 22-03-10 N04-ს, 02-06-10 N05-ს, 09-07-10 N06-ს, 26-08-10 N07-ს, 21-09-10 N08-ს, 02-11-10 N09-ს, 16-11-10 N10-ს, 15-12-10	ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფის, მოქმედი ტარიფების მოსალოდნელი ზრდის კომპენსაციისა და მაზუთის შეძენის ღონისძიებები	169,176.00	169,176.00		
საქართველოს მთავრობის განკარგულება					
N826 23-06-10	ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	184,333.00	184,333.00		

სამინისტროს სხვა სარეზერვო და მიზნობრივი ფონდებიდან თანხები არ მიუღია.

1.3. გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს 2010 წლის განმავლობაში გრანტი არ მიუღია.

1.4. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდომარეობა და რეალობა

სამინისტროს 2010 წლის 1 იანვრისთვის დებიტორულ დავალიანებად ერიცხებოდა 601.2 ათასი ლარი, რომელიც ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ნავთობკომპანიებისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების რეგულირების საფასურს წარმოადგენს. აღნიშნული დავალიანება წარმოშობილია 2003-2007 წლებში. იგივე თანხა ირიცხება კრედიტორულ დავალიანებაში, როგორც ბიუჯეტში გადასარიცხი გადასახადი. 2010 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორული დავალიანება არ შეცვლილა.

2010 წლის 1 იანვრისთვის კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 1,674.6 ათას ლარს, ხოლო 2011 წლის 1 იანვრისთვის - 1,462.2 ათას ლარს. კრედიტორული დავალიანება შემცირებული იქნა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიმართ არსებული დავალიანების 206.6 ათასი ლარის გადახდით, (რომელიც ბიუჯეტის კანონით იქნა გათვალისწინებული), და ასევე ჩამოწერილი წყლის დავალიანების თანხით 5.8 ათასი ლარით. ახალი დავალიანება წლის განმავლობაში არ წარმოქმნილა.

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

სამინისტროს 2010 წლის ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება და ანგარიშები შედგენილია სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობაში

შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების „ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს“ მიერ წარდგენილი ბალანსების საფუძველზე მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილია ვადების დაცვით.

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს საბალანსო ანგარიშგებას შემდეგი სახე აქვს:

საბალანსო ანგარიშგება 2011 წლის 1 იანვრისათვის

	ა/გ შენიშვნა	31.12.2010	31.12.2011
არაფინანსური აქტივები			
ძირითადი აქტივები	1	1,108,749.00	1,566,446.00
მატერიალური მარაგები	2	164,346.00	195,255.00
სულ არაფინანსური აქტივები		**1,273,095.00**	**1,761,701.00**
სხვა დებიტორული დავალიანებები		601,200.00	601,200.00
სულ სხვა დებიტორული დავალიანებები		**601,200.00**	**601,200.00**
სულ აქტივები		**1,874,295.00**	**2,362,901.00**
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება	3	199,701.00	900,666.00
სულ კაპიტალი		**199,701.00**	**900,666.00**
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		982,189.00	769,830.00
საშემოსავლო და ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		29,030.00	29,030.00
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის		39,495.00	39,495.00
ვალდებულებები მივლინებით		22,544.00	22,545.00
სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები		601,335.00	601,335.00
სულ სხვა კრედიტორული დავალიანებები		**1,674,593.00**	**1,462,234.00**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**1,874,295.00**	**2,362,901.00**

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

N1 - ძირითადი აქტივები:

	შენობა-ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	სხვა ძირითადი აქტივები	სულ
ნაშთი 31/12/2009	534,057.00	202,128.00	368,231.00	4,333.00	1,108,749.00
მატება					
შესყიდული			16,466.00	1,900.00	18,366.00
უსასყიდლოდ		80,406.00	520,156.00		600,562.00
გასვლა					
უსასყიდლოდ		8,185.00			8,185.00
სხვა ეკონომიკური ნაკადებით			26,403.00		26,403.00
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	6,992.00	34,989.00	84,662.00		126,643.00
ნაშთი 31/12/2010	527,065.00	239,360.00	793,788.00	6,233.00	1,566,446.00

2010 წლის განმავლობაში სამინისტრომ უსასყიდლოდ მიიღო ორი ავტომანქანა: „ოპელ ომეგა“ ღირებულებით 5.0 ათასი ლარი შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიიდან“ და „ტოიოტა კამრი“ ღირებულებით 75.4 ათასი ლარი სს „საქრუსენერგოდან“. ხოლო 8.2 ათასი ლარის ვაზ 21214 უსასყიდლოდ გადასცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს“.

ნავთობისა და გაზის ეროვნულმა სააგენტომ უსასყიდლოდ მიიღო 520.1 ათასი ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, მათ შორის 498.1 ათასი ლარის ღირებულების - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან და 22.0 ათასი ლარის ღირებულების - საქართველოს ეროვნული ბანკიდან.

26.4 ათასი ლარი წარმოადგენს გამოუსადეგარი და დაზიანებული ჩამოწერილი ქონების ნარჩენ საბალანსო ღირებულებას.

N2 - მატერიალური მარაგები:

	ნედლეული და მასალები	სათადა-რიგო ნაწილები	ფულადი დოკუმენ-ტები	სხვა დანარჩენი მატერიალუ-რი მარაგები	სულ
ნაშთი 31/12/2009	12,471.00	850.00	30,843.00	120,182.00	164,346.00
მატება					
შესყიდული	25,774.00		68,200.00	8,802.00	102,776.00
უსასყიდლოდ მიღებული				88,716.00	88,716.00
გასვლა					
უსასყიდლოდ გადაცემა					
სხვა ეკონომიკური ნაკადები					
საქონლისა და მომსახურების გამოყენება	33,122.00		83,611.00	43,850.00	160,583.00
ნაშთი 31/12/2010	5,123.00	850.00	15,431.00	173,850.00	195,255.00

ნავთობისა და გაზის ეროვნულმა სააგენტომ უსასყიდლოდ მიიღო 75.6 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივები, მათ შორის 68.6 ათასი ლარის ღირებულების - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან და 7.0 ათასი ლარის ღირებულების - საქართველოს ეროვნული ბანკიდან. 13.1 ათასი ლარის ღირებულების სამეურნეო მასალები და დიზელის საწვავი საქართველოს ეროვნული ბანკიდან.

N3 - წმინდა ღირებულება:

ნაშთი 31/12/2009	შენიშვნა	199,701.00
ზრდა		
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება		9,285,565.00
მისაღები პროცენტები	1	93,090.00
სხვა შემოსავლები	2	5,758.00
აქტივების უსასყიდლოდ მიღება		689,278.00
სხვა ეკონომიკური ნაკადი	3	20,297.00
სულ		10,093,988.00
შემცირება		
მომუშავეთა ანაზღაურება		1,836,647.00
საქონლისა და მომსახურების გამოყენება		843,930.00
ძირითადი კაპიტალის მოხმარება		126,643.00

სუბსიდიები		4,595,842.00
გრანტები	4	1,351,308.00
სხვა ხარჯები		365,782.00
აქტივების უსასყიდლოთ გაცემა		8,185.00
სხვა ეკონომიკური ნაკადი		26,403.00
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	5	238,282.00
სულ		**9,393,023.00**
ნაშთი 31/12/2010		**900,666.00**

1. 93.1 ათასი ლარი სს „თბილსრესზე" გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტია;
2. 5.8 ათასი ლარი ქ.თბილისის მერიასა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს" შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ჩამოწერილი წყლის დავალიანების თანხა;
3. 20.3 ათასი ლარი სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩამოჭრილი თანხებია;
4. 1,351.3 ათასი ლარი ჩამოწერილი სესხისა და დარიცხული პროცენტის თანხაა. სს „თბილსრესს" მისი რეგისტრაციია გაუქმების თარიღიდან (2010 წლის 20 აპრილი) ჩამოეწერა სასესხო დავალიანებები; (სს „თბილსრესის" ქონებაზე გახსნილი იყო გაკოტრების საქმე. 2010 წლის 9 თებერვალს მის სამეურვეო ქონებაზე გამართულ აუქციონში გაიმარჯვა შპს „საქართველოს საერთაშოისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ").
5. 238,3 ათასი ლარი სს „თბილსრესის" მიერ დაბრუნებული სესხია.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა

2010 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით სამინისტროს პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფა
- ელექტროგადაცემის საშუალებების მშენებლობა-რეაბილიტაცია

➢ ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

როგორც სამინისტროს ანგარიშიდან ჩანს, აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში შესრულებულია გარკვეული ღონისძიებები, კერძოდ:

- განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება, ასევე 2010 წლის ზამთარსა და შემოდგომის პერიოდში სს „თბილსრესის“ N3 ენერგობლოკის სარემონტო სამუშაოებისა და ბუნებრივი აირის შეძენის თანადაფინანსება.
- გაფორმდა სასესხო ხელშეკრულებები გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო (KFW), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარებისა (EBRD) და ევროპის საინვესტიციო (EIB) ბანკებთან 2 ახალი 500 კვ ხაზის აშენების მიზნით, ხოლო ქვესასესხო ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა და შპს „ენერგოტრანსთან“, რომლებიც ამ პროექტის უშუალო შემსრულებლები არიან.
- გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების ფონდთან (USAID) ჰიდროენერგეტიკაში ინვესტიციების მოზიდვის, ელექტროენერგიის გადაცემის ქსელის გაუმჯობესების, რეკონსტრუქციისა და ოპერირების ღონისძიებების, ბუნებრივი აირის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, შეცვლისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით.

ნაწილი - IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში

შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის ხელმძღვანელი
აუდიტორი
ქეთევან ზოზიაშვილი

მთავარი აუდიტორი
ზვიად ჭკადუა